სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება	შედარებითი და საერთაშორისო განათლება / Comparative and International Education
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	გიორგი თავაძე, პროფესორი ნანო პაჭკორია, ასისტენტი
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	განათლების მეცნიერების მაგისტრი / Master of Education Science
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	სამაგისტრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 2 წელს ანუ 4 სემესტრს შეადგენს. სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.
პროგრამის დამტკიცების თარიღი და ოქმის ნომერი	04.02.2026 №02-26

პროგრამის მიზანი

შედარებითი და საერთაშორისო განათლების სამაგისტრო პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულს:

- შესძინოს სიღრმისეული თეორიულ-კონცეპტუალური ცოდნა შედარებითი და საერთაშორისო განათლების სფეროში, ისტორიული განვითარების ტენდენციების, საკვანძო თეორიებისა და მეთოდოლოგიების, ასევე, თანამედროვე საგანმანათლებლო დებატების გააზრებით ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ დონეზე;
- განუვითაროს საგანმანათლებლო სისტემების, პოლიტიკებისა და პრაქტიკების კრიტიკული ანალიზის უნარი მათ ისტორიულ, სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ კონტექსტში;
- განუვითაროს თანამედროვე კვლევითი კომპეტენციები თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის დაგეგმვის, განხორციელებისა და მონაცემთა ანალიზის მიმართულებით, აკადემიური წერისა და ეთიკური სტანდარტების დაცვით;
- ჩამოუყალიბოს შედარებითი და საერთაშორისო განათლების სფეროში არსებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, პროფესიული კომუნიკაციის, ეთიკური პასუხისმგებლობისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების უნარი აკადემიურ და პროფესიულ გარემოში.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებული:

(A) ფლობს საერთაშორისო და შედარებითი განათლების საკვანძო თეორიების, ცნებების, მეთოდოლოგიური მიდგომებისა და თანამედროვე დებატების ღრმა და სისტემურ ცოდნას და სიღრმისეულად აანალიზებს საგანმანათლებლო სისტემებს, პოლიტიკებსა და პრაქტიკებს სხვადასხვა ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ კონტექსტში;

(B) სიღრმისეულად იცნობს საგანმანათლებლო ტრადიციებს, ფილოსოფიებსა და სწავლა-სწავლების თეორიებს და აანალიზებს მათ როლს თანამედროვე საგანმანათლებლო პრაქტიკებისა და გამოწვევების კონტექსტში;

(C) ავლენს კვლევითი პარადიგმების, თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების, აკადემიური წერის წესებისა და ეთიკური სტანდარტების ფუნდამენტურ ცოდნას.

უნარი

კურსდამთავრებული:

(D) კრიტიკულად აანალიზებს და ადარებს საგანმანათლებლო პოლიტიკებს, სისტემებს, ინოვაციებსა და პრაქტიკებს შედარებითი, ინტერკულტურული და ინტერდისციპლინური მიდგომებისა და რელევანტური ანალიტიკური ჩარჩოების გამოყენებით;

(E) დამოუკიდებლად ახორციელებს თვისებრივ და რაოდენობრივ კვლევას შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით;

(F) გადასცემს აკადემიურ, პროფესიულ და ფართო საზოგადოებას კომპლექსურ იდეებს, კვლევის შედეგებსა და საგანმანათლებლო პოლიტიკასთან დაკავშირებულ არგუმენტებს ვერბალური ან წერითი გზით, რელევანტური აკადემიური და ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებით და აკადემიური ეთიკის ნორმების დაცვით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

კურსდამთავრებული:

(G) ავლენს პროფესიულ, ეთიკურ და სოციალურ პასუხისმგებლობას კვლევაში, პოლიტიკის ანალიზსა და საგანმანათლებლო პრაქტიკაში თანასწორობის, კულტურული მრავალფეროვნების, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და კვლევის ეთიკის პრინციპების დაცვით;

(H) წარმართავს საკუთარ პროფესიულ განვითარებას მიღებული აკადემიური და პრაქტიკული გამოცდილების შეფასების პრინციპების საფუძველზე.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

შედარებითი და საერთაშორისო განათლების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს კანდიდატს, რომელიც ფლობს ბაკალავრის კვალიფიკაციას. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება ხორციელდება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საფუძველზე ან უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, დადგენილი წესის შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და რექტორის ბრძანების საფუძველზე. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებით ვლინდება ცოდნის ზოგადი დონე არჩეული სპეციალობისა და ინგლისური ენის B2 დონის ფარგლებში. შიდასაუნივერსიტეტო გასაუბრების და გამოცდების საკითხები/ტესტები და სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე (http://www.sabauni.edu.ge).

ინგლისური ენის ტესტირებისგან თავისუფლდება კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ ერთ-ერთ შემდეგ საერთაშორისო სერტიფიკატს: FCE, IELTS, TOEFL, PBT, TOEFL, CBT, TOEFL, IBT, VERSANT, CERTUS. PEARSON, შესაბამისი შეფასებებით. ასევე კანდიდატი, ვისაც ინგლისურ ენაზე გავლილი აქვს საბაკალავრო ან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა სრულად ან სრული ერთი სემესტრი მაინც.

შენიშვნა: ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სერტიფიკატი განაცხადის გაკეთების დროს უნდა იყოს ძალაში და აპლიკანტს უნდა შეეძლოს მისი წარმოდგენა. ვადაგასული დოკუმენტი არ განიხილება.

პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

სწავლება-სწავლის მეთოდი

☒ ლექცია ☒ სამუშაო ჯგუფში მუშაობა ☒ პრაქტიკული მუშაობა ☒ სემინარი ☒ ელექტრონული რესურსით სწავლება

☐ ელექტრონული სწავლება ☒ სხვა

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, ტექსტზე ორიენტირებული კრიტიკული დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, პოლიტიკის დოკუმენტის შექმნა-წარდგენა, საჩვენებელი ლექცია და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:	
(A) ფრიადი	შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი	მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი	მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი	მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი	მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
ორი სახის უარყოფით შეფასებას:	
(FX) ვერ ჩააბარა	მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა	მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების ფორმები და კომპონენტები

შეფასების ფორმები და კომპონენტები	**მაქსიმალური ქულა**

შუალედური შეფასება:	**70 ქულა**
1.1	
1.2	
1.3	
დასკვნითი შეფასება	**30 ქულა**
დასკვნითი წერითი/ზეპირი გამოცდა	30
სულ	**100 ქულა**

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

დასაქმების სფერო

შედარებითი და საერთაშორისო განათლების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს აქვთ დასაქმების ფართო შესაძლებლობები საერთაშორისო ორგანიზაციებში, არასამთავრობო სექტორსა და განვითარების სააგენტოებში, სადაც მათ შეუძლიათ იმუშაონ განათლების, პოლიტიკის ანალიზისა და პროექტების კოორდინირების მიმართულებით. დასაქმების სფერო ასევე მოიცავს სახელმწიფო ორგანოებს (სამინისტროებსა და სხვა საჯარო დაწესებულებებს), უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და კვლევით ცენტრებს, სკოლებსა და სხვადასხვა საგანმანათლებლო ორგანიზაციას. კურსდამთავრებულები შესაძლოა დასაქმდნენ განათლების პოლიტიკის ანალიტიკოსის, მკვლევრის, პროექტების ოფიცრის, მონიტორინგისა და შეფასების სპეციალისტის, კურიკულუმისა და/ან საგანმანათლებლო პროგრამების განმავითარებლის, აგრეთვე განათლების სფეროში კონსულტანტის პოზიციებზე.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

შედარებითი და საერთაშორისო განათლების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ სწავლა განაგრძონ სადოქტორო პროგრამებზე განათლების, სოციალური მეცნიერებების, საჯარო პოლიტიკის, საერთაშორისო განვითარების და ინტერდისციპლინური კვლევების მიმართულებებით. მათ ასევე აქვთ შესაძლებლობა გაიარონ სასერტიფიკატო და პროფესიული განვითარების კურსები, ასევე, ჩაერთონ საერთაშორისო ტრენინგ-პროგრამებში ისეთ სფეროებში, როგორებიცაა განათლების პოლიტიკა, კვლევის მეთოდები, ლიდერობა განათლებაში, ციფრული განათლება და სხვ. პროგრამა ქმნის მყარ საფუძველს როგორც კვლევაზე ორიენტირებული აკადემიური კარიერის განვითარებისთვის, ისე უწყვეტი პროფესიული ზრდისთვის ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტებში.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

შენობა-ნაგებობები - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის 24–საათიან მფლობელობაში და საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვული სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

ბიბლიოთეკა - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისათვის. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის მულტიფუნქციური ქსეროქსის აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (საკანონმდებლო მაცნე, EBSCO; HeinOnline, Elsevier). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, მათ შორის SPSS და Nvivo პროგრამები. არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისათვის. სტუდენტებისათვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისათვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათებო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაცის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

პროგრამის სტრუქტურა

შედარებითი და საერთაშორისო განათლების სამაგისტრო პროგრამა ეყრდნობა ორიენტირებულია პრაქტიკული და თეორიული ცოდნის ინტეგრირებულ მიწოდებაზე და აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, მოიცავს 120 კრედიტს, რომელიც ნაწილდება ოთხ სემესტრზე.

პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები მოიცავს 102 კრედიტს, მათ შორის პრაქტიკის კომპონენტი, რომელიც მოიცავს 12 კრედიტს და სამაგიტრო ნაშრომს 30 კრედიტის მოცულობით. ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსები ითვალისწინებს

18 კრედიტს, რომლის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია აირჩიოს როგორც შედარებითი და საერთაშორისო განათლების სამაგისტრო პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსებიდან, ისე უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი სამაგისტრო პროგრამებიდან.

პროგრამის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს პრაქტიკული კომპონენტი, რომელიც 12 კრედიტს მოიცავს და ხორციელდება ორმაგი სუპერვიზიის სისტემით. პრაქტიკის გავლისას სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, საკუთარი პროფესიული ინტერესებიდან გამომდინარე თავად შეარჩიონ პრაქტიკის გავლის ადგილი სხვადასხვა საგანმანათლებლო ორგანიზაციებიდან. პრაქტიკის პროცესში სტუდენტები იმყოფებიან ორგანიზაციის გამოცდილი სპეციალისტებისა და პრაქტიკის ხელმძღვანელების ერთობლივი მეთვალყურეობის ქვეშ, რაც უზრუნველყოფს პრაქტიკული გამოცდილების მაღალ ხარისხს.

სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს, რომელიც გულისხმობს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას, ეთმობა 30 კრედიტი. სტუდენტები იძენენ თეორიული ჰიპოთეზების ემპირიული გზით შემოწმების, მეცნიერული კვლევის ჩატარებისა და მიღებული შედეგების სტატისტიკური დამუშავებისა და გაანალიზებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს. სამაგისტრო ნაშრომი უნდა მოიცავდეს როგორც თეორიულ, ისე ემპირიულ კომპონენტებს და სასურველია გამოყენებული იყოს კვლევის სხვადასხვა მეთოდი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა

№	წინაპირობა	მოდული/საგანი	ECTS კრედიტი				სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	
			I წელი		II წელი			
			სემესტრი					
			I	II	III	IV	საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები
	სასწავლო კომპონენტი							
	ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები							
1.	წინაპირობის გარეშე	შედარებითი და საერთაშორისო განათლება	6/150				42	108
2.	წინაპირობის გარეშე	განათლების ტრადიციები ინტერკულტურულ პერსპექტივაში	6/150				42	108
3.	წინაპირობის გარეშე	განათლების პოლიტიკა	6/150				40	110
4.	წინაპირობის გარეშე	სწავლა-სწავლების თანამედროვე თეორიები და მეთოდები	6/150				27	123

5.	წინაპირობის გარეშე	ხარისხის მართვა განათლებაში		6/150			41	109
6.	შედარებითი და საერთაშორისო განათლება	განათლება და საერთაშორისო განვითარება		6/150			42	108
7.	სწავლა-სწავლების თანამედროვე თეორიები და მეთოდები	ინოვაციები და ტექნოლოგიები განათლებაში		6/150			28	122
8.	წინაპირობის გარეშე	აკადემიური წერა სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის			6/150		28	122
9.	წინაპირობის გარეშე	თვისებრივი კვლევის მეთოდები			6/150		42	108
10.	წინაპირობის გარეშე	რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზი SPSS-ის გამოყენებით			6/150		42	108
	ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები							
1.	წინაპირობის გარეშე	განათლების სოციოლოგია	6/150	+			42	108
2.	წინაპირობის გარეშე	გენდერი და განათლება გლობალურ და შედარებით ჭრილში	6/150	+			42	108
3.	წინაპირობის გარეშე	განათლება და ადამიანის უფლებები	6/150	+			42	108

4.	წინაპირობის გარეშე	განათლების ანთროპოლოგია	6/150	+			29	121
5.	წინაპირობის გარეშე	განათლების მენეჯმენტი და ლიდერობა	6/150	+			42	108
6.	წინაპირობის გარეშე	განათლების ისტორია საქართველოში	3/75	+			28	47
7.	წინაპირობის გარეშე	უნივერსიტეტის იდეა: ფილოსოფიური ასპექტები	6/150	+			29	121
8.	წინაპირობის გარეშე	სასკოლო განათლების ტრანსფორმაცია გლობალურ კონტექსტში	6/150	+			42	108
9.	წინაპირობის გარეშე	სასკოლო პოლიტიკა და პრაქტიკა შედარებით პერსპექტივაში	3/75	+			28	47
10.	წინაპირობის გარეშე	უმაღლესი განათლების თანამედროვე ტენდენციები გლობალურ ჭრილში	3/75	+			41	34
11.	წინაპირობის გარეშე	Education for Sustainable Development	3/75	+			28	47
12.	წინაპირობის გარეშე	ტოლერანტობა და მრავალფეროვნება	6/150	+			41	109
		პრაქტიკული კომპონენტი						
1.	ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი (I-II სემესტრი)	პრაქტიკა			12/300		65	235
		კვლევითი კომპონენტი						

1.	პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი (I-III სემესტრის ჩათვლით)	სამაგისტრო ნაშრომი				30/750	18	732
სემესტრში			30	30	30	30		
წელიწადში			60		60			
სულ			120					

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა								
საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები	სწავლის შედეგები							
	ცოდნა და გაცნობიერება			უნარები			პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	
	A	B	C	D	E	F	G	H
მიზანი 1. შესძინოს სიღრმისეული თეორიულ-კონცეპტუალური ცოდნა შედარებითი და საერთაშორისო განათლების სფეროში, ისტორიული განვითარების ტენდენციების, საკვანძო თეორიებისა და მეთოდოლოგიების, ასევე, თანამედროვე საგანმანათლებლო დებატების გააზრებით ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ დონეზე;	x	x						
მიზანი 2. განუვითაროს საგანმანათლებლო სისტემების, პოლიტიკებისა და პრაქტიკების კრიტიკული ანალიზის უნარი მათ ისტორიულ, სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ კონტექსტში;				x		x		
მიზანი 3. განუვითაროს თანამედროვე კვლევითი კომპეტენციები თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის დაგეგმვის, განხორციელებისა და მონაცემთა ანალიზის მიმართულებით, აკადემიური წერისა და ეთიკური სტანდარტების დაცვით;			x		x	x	x	
მიზანი 4. ჩამოუყალიბოს შედარებითი და საერთაშორისო განათლების სფეროში არსებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, პროფესიული კომუნიკაციის, ეთიკური პასუხისმგებლობისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების უნარი აკადემიურ და პროფესიულ გარემოში.				x	x	x	x	x

პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა

№	მოდული/საგანი	კურსის სტატუსი		პროგრამის სწავლის შედეგები							
				(A)	(B)	(C)	(D)	(E)	(F)	(G)	(H)
1.	შედარებითი და საერთაშორისო განათლება	I		X	X		X		X		
2.	განათლების ტრადიციები ინტერკულტურულ პერსპექტივაში	I		X	X		X				
3.	განათლების პოლიტიკა	I		X			X		X		
4.	სწავლა-სწავლების თანამედროვე თეორიები და მეთოდები	D			X				X		
5.	ხარისხის მართვა განათლებაში	D		X			X				
6.	განათლება და საერთაშორისო განვითარება	I		X			X		X	X	
7.	ინოვაციები და ტექნოლოგიები განათლებაში	D			X		X				
8.	აკადემიური წერა სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის	D				X			X	X	X
9.	თვისებრივი კვლევის მეთოდები	D	P			X		X	X	X	X

10.	რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზი SPSS-ის გამოყენებით	D	P			X		X	X	X	X
11.	პრაქტიკა	P	M			X	X	X	X	X	X
12.	სამაგისტრო ნაშრომი	M				X	X	X	X	X	X

კურსის სტატუსი

I – შესავალი კურსები (Introductory)	D - განმავითარებელი კურსები (Developing)	P - პრაქტიკული კურსები (Practical)	M- დაოსტატების კურსები (Master)

პროგრამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების რუკა

№	მოდული/საგანი	კომპეტენციები		
		ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები				
1.	შედარებითი და საერთაშორისო განათლება	+	+	+
2.	განათლების ტრადიციები ინტერკულტურულ პერსპექტივაში	+	+	
3.	განათლების პოლიტიკა	+	+	
4.	სწავლა-სწავლების თანამედროვე თეორიები და მეთოდები	+	+	+
5.	ხარისხის მართვა განათლებაში	+	+	+
6.	განათლება და საერთაშორისო განვითარება	+	+	+
7.	ინოვაციები და ტექნოლოგიები განათლებაში	+	+	+
8.	აკადემიური წერა სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის	+	+	+
9.	თვისებრივი კვლევის მეთოდები	+	+	+
10.	რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზი SPSS-ის გამოყენებით	+	+	+
11.	პრაქტიკა	+	+	+
12.	სამაგისტრო ნაშრომი	+	+	+

ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები				
13.	განათლების სოციოლოგია	+	+	
14.	გენდერი და განათლება გლობალურ და შედარებით ჭრილში	+	+	+
15.	განათლება და ადამიანის უფლებები	+	+	+
16.	განათლების ანთროპოლოგია	+	+	
17.	განათლების მენეჯმენტი და ლიდერობა	+	+	+
18.	განათლების ისტორია საქართველოში	+	+	
19.	უნივერსიტეტის იდეა: ფილოსოფიური ასპექტები	+	+	
20.	სასკოლო განათლების ტრანსფორმაცია გლობალურ კონტექსტში	+	+	
21.	სასკოლო პოლიტიკა და პრაქტიკა შედარებით პერსპექტივაში	+	+	
22.	უმაღლესი განათლების თანამედროვე ტენდენციები გლობალურ ჭრილში	+	+	+
23.	Education for Sustainable Development	+	+	
24.	ტოლერანტობა და მრავალფეროვნება	+	+	+